- **სამართალი და ენა; სამართლის ენა, როგორც დარგობრივი ენა**

სამართლის ნორმა ენობრივ ფორმაში გამოხატული აზრობრივი სტრუქტურაა. ქცევის წესები ნორმატიული წინადადებებით ფორმულირდება. შესაძლებელია ყველა იმ ურთიერთობის რეგულირება, რაც ენით გამოითქმის. სამართალი ცოცხლობს სიტყვაში და ყალიბდება სიტყვის მეშვეობით. სამართლის ცნების შინაარსისგან დამოუკიდებლად იურისპრუდენცია იკვლევს მის ენობრივ ფორმებს-კანონის ტექსტისა და სამართლის შეფარდების აქტების ანალიზს.

ენის ცოდნა **იმპლიციტური ცოდნაა,** სამართლის ნორმის ცოდნა- **ექსპლიციტური**. კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

ენის ცოდნა- იმ წესებისა და სტრუქტურების ცოდნაა, რომლებიც აწესრიგებენ ენობრივ ურთიერთობებს. **სამართლის ცოდნა**-როგორც ქცევის წესების, ასევე იმ ინსტიტუტების ცოდნაა, რომლებიც წარმოადგენენ ამ წესების დაცვის გარანტიას. მათ გარეშე ნორმა ვერ იქნებოდა სამართალი.

სამართლის ენა მაღალგანვითარებული დარგობრივი ენაა. გამოიყოფა შემდეგი **ენობრივი დონეები :**

- კანონის ენა;
- მეცნიერული ენა;
- განაჩენისა და გადაწყვეტილების ენა;
- მოხელეთა ენა.

ზოგი თვლის, რომ არსებობს მხოლოდ **კანონმდებლის იმპერატიული ენა.** არსებობს **მოსამართლისა** და **დამცველის**, **ბრალმდებლის, ნოტარიუსის, სწავლული იურისტის ენა.**

კანონის დარგობრივ ენას ახასიათებს:

- მისწრაფება ფორმალიზებისა და სტანდარტიზაციისკენ;
- ოფიციალური და ფუნქციური ხასიათი;
- ნომინალური, აბსტრაქული და არაპერსონიფიცირებული სტილი;
- სიტყვათა ლექსიკური მარაგის გაფართოება და ცალკეული მორგოლოგიური თავისებურებები.

კანონის ენა არის ავთენტიკური-მასში გამოხატულია კანონმდებლის ნება. კანონში სიტყვის შეცვლაც კი დაუშვებელია, თუ ცალკე ახალი კანონი არ მიუთითებს ამაზე.

- **სამართლის ენა, როგორც მეტაენა**

მეტაენა არის ენა ენის შესახებ. ის აღწერს დედუქციური თეორიის ენის აღნაგობას, განმარტავს მას და მიუთითებს მის თავისებურებებზე, იძლევა სხვა ენებთან შედარების შესაძლებლობას. მაგ. „თბილისი მდ. მტკვარზე მდებარეობს“ არის მსჯელობა ობიექტზე, ხოლო „მსჯელობა, რომ თბილისი მდ. მტკვარზე მდებარეობს არის ჭეშმარიტი“- მეტაენით გამოხატული მსჯელობაა.

მეტაენის არსი ნათლად ჩანს **სემანტიკური ანტინომების** დროს, როცა ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულება თანაბრად სწორად მტკიცდება (პროტაგორას მოწაფე ეუთლოსი; „ყველა კრეტელი მატყუარაა“-თქვა კრეტელმა).

ნორმატიული მსჯელობა მეტაენის ერთ-ერთი სახეა.

ნორმათა ლოგიკა ერთმანეთისგან განასხვავებს **ნორმატიულ (ჯერარსულ)** და **დეონტურ წინადადებებს** (წინადადებები ჯერარსულ წინადადებებზე).

ნორმათა ლოგიკა ანუ **დეონტური ლოგიკა** იკვლევს, თუ რამდენად შესაძლებელია ტრადიციული ლოგიკის წესების გამოყენება ჯერარსული მსჯელობების მიმართ.